ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმა კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართთვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედილი. ეხარეთ ყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 1 1883—1894 15 იანვარი.

7126

1894 წლის «მწყემსი»-ს

ხელის მოსაწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ

მოზრდილი მხატვრობა

თამარ მეფისა.

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც შოთა რუსთველი მიართმევს თამარს თავის უკვდავ პოემას «ვეფხის ტყაოსანს». ამ მხატვრობაზე იქნება დახატული თვით შოთა რუსთველი და თამარის მხლებლებიც იმ დროის ტანთ-საცმელში.

საახალწლო ნატვრა.

ეს სწორეთ მეთორმეტე ახალს წელს ვეგებებით, ჩვენო ძვირფასო მკითხველნო, რაც ჩვენმა გამოცემამ დაგვაახლოვა ერთმანეთს. ეს 12 წელიწადია, რაც ერთად ვსაუბრობთ ხან მწუხარებით და ხან მხიარულად იმის შესახებ, თუ რანი ვიყავით წინეთ, რა ვართ დღეს და რა ვიქნებით შემდეგში? ამ თორმეტი წლის

განმავლობაში ჩვენ ბევრი რამ კეთილი ვისურვეთ თქვენთვის, ჩვენო მკითხველნო; ვსურვობდით და დღესაც ვისურვებთ თქვენთვის ყოველივე ბედნიერებას და წარმატებას. არა ერთხელ აღვნიშნეთ და განვმარტეთ, რომ ჩვენ ხშირად ვცდებით ბედნიერების მიების დროს; ჩვენ ვეძიებთ ბედნიერ ცხოვრებას უმეტესად იქ, სადაც იგი არ არსებობს. ცხადათ აღვნიშნეთ ისიც, რომ ყოველივე უბედურება და ბედნიერება ჩვენზედვე დამოკიდებული. ჩვენ ვართ მიზეზი ჩვენი ბედნიერებისა და უბედურებისა.

დრო არის, ჯეროვანად და სულ სხვა რიგად დავაკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას და ჩვენს დღევანდელს მდგომარეობას. დრო შეუნიშნავად გარბის და ჩვენ სრულებით დაუფიქრებლად მივჩანჩალებთ იმედ-დაკარგული და დამაბუნებული. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ თვალი გადავავლოთ ჩვენზე უფრო გონებით დაწინაურებული ხალხის ცხოვრებას, დავაკვირდეთ მათ მისწრაფებას და განვითარებას და ყველაფერში მათ მივბაძოთ, ჩვენ გულზე ხელები დაგვიკრეფია და ერთმანეთის შურსა, ჩხუბსა და მტრობაში ვატარებთ დროს ჩვენ მტერთა სასიხარულოდ. სრულიად გვავიწყდება, რომ ამნაირი ქცევით ჩვენ ვიმზადებთ უბედურებას და ვისხშავთ გზას მომავალი კეთილდღეობისადმი. რასაკვირველია, ესეთი ჩვენი ქცევა შეუმჩნეველი არ რჩება ჩვენის არაკეთილის მსურველთათვის და ისინიც, რასაკვირველია, მრავალ კისერ სატეხ ხაფანგებს გვიგებენ, სადაც კი დაახელებენ.

მაგრამ ხშირად მტერიც კი არა ნაკლებ სიკეთეს გვიშვება, ვინემ მოყვარე. სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი დაუდევნელობით მოსარგებლე ჩვენი არაკეთილის მსურველი გვიქადის ცუდსა, აი სწორეთ მაშინ ვიღვიძებთ, ვფხიზლდებით, შევიგნებთ ჩვენ შეცთომას და სისუსტეს და აღვიჭურვებით ხოლმე ყოველი ღონით და ძალით ჩვენი არაკეთილის მსურველთა საწინააღმდეგოდ და ჩვენ ნაკლთა შესავსებად. ვინატროთ. რომ ეს ჟამი ჭკუა-შევნებისა და გამოფხიზლებისა მალე დავგდგომოდეს.

შორს ჩვენგან, უიმედობავ! შორს ჩვენგან სასოწარკვეთილებავ! «კეთილად წარმართე, უფალო, დასაწყისი და გარდასვლა წლისა ამის. ვევედროთ უფალსა, რათა განსდევნოს ჩვენგან ყოველნი სულთა გამხრწნელნი ვნებანი და გამრყვნელნი ჩვეულებანი. ვევედროთ უფალსა, რათა მან აკურთხოს გვირგვინი მოწყვნულისა ამა წელიწადისა სახიერებითა თვისითა და დაასცხროს ჩვენ შორის ყოველი მტრობა, უწესოება, ურთიერთარსი ბრძოლა და მოგვანიჭოს ჩვენ მშვიდობა, მტკიცე და პირუთვნელი სიყვარული, კეთილ-წესიერებითი თანხმობა და სათნოებითი ცხოვრება».

«ვევედროთ უფალსა, რათა გვიხსნას სიყმილისაგან, სვრისა, მვრისა, დანთქმისა, ხვეტყვისა, ცეცხლისა, მახვილისა და უცხო თესლთა ზედამოსვლისაგან».

აი ჩვენი სავედრებელი ლოცვა ღვთისადმი ეკკლესიაში. ამას უნდა ვევედრებოდეთ ღმერთსა ყოველთვის და ყოველს ადგილს, რათა უფალმა ისმინოს ჩვენი ვედრება და აღგვისრულოს ჩვენის გულის ნატვრანი. მოსპოს ჩვენში შური, ერთი ერთმანეთის მტრობა, ღალატი, და ნაცვლად ამაებისა დაამკვიდროს ჩვენში ერთობა, ძმობა და სიყვარული.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ჩვენი ძველი მოღვაწეები

რით დაიმსახურეს ჩვენმა ძველმა მოღვაწეებმა ღრმა პატივისცემა და სიყვარული ჩვენი საზოგადოებისა? რატომაა, რომ რაც დრო მიდის, ისე ამ ძველ მოღვაწეთადმი ჩვენი საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა უფრო და უფრო ძლიერდება? იმის გამო, რომ ეს კაცები აღჭურვილნი იყვნენ ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი სარწმუნოებით და კეთილზნეობით. იმათი მოქმედება, იმათი საქციელი, ყოფა-ცხოვრება და სიტყვა-პასუხი ნიადაგ გამსჭვალული იყო ჭეშმარიტი სარწმუნოებით. ამ სარწმუნოებით აღჭურვილნი ისინი ყველა შემთხვევისა და ყოველგვარ გაჭირვების დროს მედგრად მოქმედებდნენ და შეუპოვარნი იყვნენ. მცირეს სწავლით დიდ საქმეებს ასრულებდნენ. დღეს ხშირად ვხედავთ უმაღლესი სწავლით აღჭურვილ პირთ, რომელთა მოქმედებას მკრთალი ფერი ადევს და შეუმჩნეველია საზოგადოებისაგან. რისგან ხდება ეს? იმისაგან, რომ ამ კაცების გულში არ ღვივის ჭეშმარიტი სარწმუნოება, ეს კაცის მიმართულებისა და ნაყოფიერი მოქმედების ღერძი...

ძველი მოღვაწე კაცისათვის უველაფერზე უძვირფასესი იყო სარწმუნოების საგანი, რომელსაც ყოველ მის მოღვაწეობის დარგში უცხოველესი და უძლიერესი ძარღვის ადგილი ეჭირა: რაც უნდა საქმით ყოფილიყო იგი გართული, გინა საოჯახოთი, გინა სამოქალაქოთი, გინა სახელმწიფო და საეროთი, ყოველთვის მოეპობოდა მას დრო, რომ თვისთა მოყვასთათვის გულწრფელი აზრი გამოეთქვა შესახებ თავის რწმენისა ღმერთზე, კეთილზნეობაზე, ქველ-მოქმედებაზე, ყრმათა აღზრდაზე და სხვ. და მათ შორის იშვიათათ ვიპოვნით ისეთებს, რომელთაც ჩვენთვის მათი გულნადები არ დაეტოვოსთ ამ მაღალი საგნების შესახებ.

თუ რა მიმართულების და კეთილ-ზნეობის იყვნენ ზოგიერთი ჩვენი მოღვაწეები, ამას ცხადათ დაინახავს მკითხველი ამ მოღვაწეთა ძველ ნაწერებიდგან. დრო და დრო ჩვენს გამოცემაში დავბეჭდავთ ამ მოღვაწეთა ძველ ნაწერებს. დღეს ვბეჭდავთ განსვენებული დიმიტრი ყიფიანის ერთ შესანიშნავ წერილს, მიწერილს ბ. გიორგი მუხრანსკისადმი. აი ეს წერილი:

ᲗᲥᲕᲔᲜᲝ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲐᲕ,

უმოწყალესო ხელმწიფეო კნიაზო

გიორგი იესსეს ძევ!

წყრილი თქვენის ბრწყინვალებისა, რომლითაც გვნებათ, მოწყალეო ხელმწიფეო, ესოდენ სასიქადულოდ პატივისცემა ჩემი, მივიღე მე სრულით კმაყოფილებითა და ბრძანებისამებრ თქ̃უჱნისა ვჰბედავ განსჯისა მის პასუხისგებასა, რომელიცა წინადადებად არს მას შინა განცხადებული. ხოლო ვიდრემდის შევუდგებოდე მე განმარტებასა წინამდებარესა ამის აზრისასა, ვითხოვ კრძალულებით თქ̃უჱნის ბრწყინვალებისაგან, რათა სიტყ̃უანი ჩემნი, ოდესმე უღონონი მოწიწებისაგან წინაშე მეცნიერებისა და გამოცდილებისა თქ̃უჱნისა და ოდესმე აღმორ-

გებითნი უმეცრებისა ჯ გამოუცდელობისა ჩემისაგან, მიათუალოთ მხოლოდ წრფელსა მას სურვილსა. რო შევიძლო აღსრულება ნებისა თქუსნისა ჯ სიამოვნება თქუსნდა საამოთ საუბრობითა.

ვინა არს გონიერების მექონი იგი, რომელსაცა ძალ ედუას თქმად, რამეთუ ნივთნი აწინდელნი არა ქმნილ იუნენ ჯ ცხოველნი აწინდელნი არა დაბადებულ? სარწმუნოება ჩუსნი გვასწავებს და კეთილ-მსახუსლობა გვიმტკიცებს სწავლასა ამას, რომელ ყოველი იგი, რასაცა ვხედავთ ჩუსნ, შექმნილ არს შემოქმედისაგან; ხოლო შემდგომად—ერთნი იბადებიან და მეორენი სხვა გვარად ჭსწარმოებენ თვისებითა მით, რომელი მიანიჭა შემოქმედმან ყოველსა ქმნილებასა თვისსა. ესრეთ უეჭუსლ არს, რომელ კაცი იბადების კაცთაგან და სხვანი ცხოველნი მსგავსთა ცხოველთაგან და უკეთუ განვიკითხეთ მიზეზი უპირველესისა წარმოებისა მათისა, ვპოვებთ, რამეთუ პირველნი შთამომავლობის დამწყებნი, შექმნილ არიან და არა დაბადებულ, ეგრეთ ვითარცა ნივთნი უსულონი. განმარტებასა ამის აზრისასა შეუდგების კვალად ესეცა, რომელ ღმეროსა ენება განმრავლება ქმნილებათა თვისთა და დასდვა კანონი გარდაუვალი, რომლისა გამო განმრავლება შთამომავლობისა დაფუძნებულ არს მოსპობასა ზედა წინმყოფთასა, ცხოველება წარმოსდგების მოკუდინებისაგან და უკეთუ მოკუდინება არა ყოფილიყო დაწყებული უზენაესის განმწესებელისა მიერ, მაშინ შესაძლებელ არს, რომელ ესოდენი სიმრავლე, მაგალითად კაცთა, შეკრებილ ჯ დაცულ ვჭყოფილიყავით აქამომდე არსებობასა შინა პირველთა მათ ორთასა. თქვენ, მოწყალეო ხელმწიფეო, ფრიად კეთილად ჯ ფრიად კანონიერად ჭსჯით, რამეთუ სიკვდილი არს აუცილებელი შემდგომობა სიცოცხლისა ჯ ჭსწარმოებს განუსაზღვრებელისა მის სიყვარულისაგან, რომლითაცა აღსავსე არს ჩვენდამო გონება-მიუწდომელი იგი სივრცე ღვთის სახიერებისა.—ვინა არს იგი, რომელი არა ჭგმობდეს ღმერთსა და იტყოდეს, რამეთუ სიკვდილი ბოროტ არს? არავინ; არავინ მათ შორის, რომელნი აღიარებენ ღვთის სახიერებასა ჯ არსებასა.

გარნა, თქვენც მეთანხმებით, უბრწყინვალეო, რომელ იპოებიან ჩვენ შორის კაცნი, ყოვლისა მორწმუნეობისა წინააღმდეგნი, რომელთათვის ბუნებას მიუნიჭებია, ჩვენ მორწმუნეთა განსაცდელად, გონება მახვილი და მეტუველება მჭევრი, რომლითა ეგზომ დააბრკოლებენ ზრახვასა ღვთის მოყვარებითსა.—წარმოვიდგინოთ ჩვენ კაცი ესევითარი; წარმოიდგინეთ, რომელ მე ვიყო იგი!—მომიტევე, შენ უფალო! საფიქრებელი ესე წინააღმდეგობა შენი და, ვითარცა გულთა მხილველმან, იხილე გული ჩემი, აღსავსე სიყვარულითა და მორწმუნეობითა შენითა! და მიათვალე ჭნინდა მგმობელი ესე საუბარი ჩემი სურვილსა მას, რათა უმეტესად დამტკიცდეს სახიერება უეჭველი, რომელსა შენ შორის ვიეთნიმე იჭვნეულობენ!.. წარმოიდგინეთ, ბრწყინვალეო, რომელ მე ვიყო კაცი იგი, რომელსა არა ჭსწამს შემოქმედის სახიერებაჲ, რომელ ყოველსავე იჭვნეულობს და ითხოვს მტკიცესა საბუთსა ყოველსა წინადადებასა ზედა თვისსა; მოისმინეთ ჩემი, მოწყალეო, და მიპასუხეთ:

ა. უკეთუ სიყვარული შემოქმედისა ჩვენდამო განუსაზღვრებელ არს; უკეთუ შემძლებელობა მისი გონება მიუწთომელ არს; და უკეთუ ჩვენ ვჭხადით მას მამად კაცობრიობისად: მაშა რაჲსათვის არ ენება მას ბედნიერებაჲ შვილთა თვისთა? უბნობენ მორწმუნენი, რამეთუ არ არსებობდეს მისთვის არცა სივრცეჲ და არცა ჟამი და ნება მისი ჭხელმწიფობდეს მსოფლიოსა: უკეთუ ჭსურებოდა მას კეთილი კაცთათვის, რაჲ ექმნებოდა მაბრკოლებელად?

ბ. პასუხს-მიგებენ მე ღვთის-მეტყველნი, რამეთუ უკეთუ სიკვდილი არა დაწესებულიყო, ქვეყანა ვერ დაიტევდა თვის შორისა სიმრავლესა კაცთასა. ხოლო რაჲსათვის? ნუ უკვე მეტყვის რომელიმე, რამეთუ ყოვლის შემოქმედი ვერ შემძლებელ ყოფილიყო, რათა მიეცა ქვეყანისათვის სივრცე ბევრის ბევრად უმეტესი, ანუ რათამცა განეჩინა ზომიერებაჲ ვითარიმე, რომელ ნათესაობა კაცისა განმრავლებულიყო მხოლოდ ეგოდენ, რაოდენსა დაიტევდა სივრცე ქვეყანისა?

გ. მაშინ არ გვექმნებოდა შიში საშინელისა პასუხისგებისა, რომელი წინა გვიძს სიკვდილის შემდგომ, და ვეგებოდით მარადის წარსაწყმედელსა ბოროტებასა შინა,—იტყვიან კაცნი სათნოიანნი: ხოლო ნუ უკვე იტყვის ვინმე, რამეთუ შემოქმედი ვერ შემძლებელ ყოფილიყო განდევნად სიბოროტისა და დამკვიდრებად ჩვენ შორის ერთისა ოდენ სახიერებისა? მან მოგვანიჭა ჩვენ სრული ნება და დაგვინიშნა: რომელი რა არს კეთილი ⁂ რომელი რა არს ბოროტ. ხოლო სხეულისა ჩვენისა ვნებულებანი ესოდენ ძლიერ არიან ოდესმე, ანუ სურვილნი კაცობრიობისანი ესოდენ დაუწყნარებელ არიან, რომელ ოდესმე ყამიერის გულთქმის აღსრულება ნეტარება არს კაცისათვის და ამა ნეტარებისათვის ადვილად ივიწყებს, რომელ დატკბობა ესე ბოროტ არს და წარწყმედულ რაჲსათვის? ნუ უკვე შეუძლებელ იყო, რათამცა ჭეშვედროდა კაცსა ერთი მხოლოდ გრძნობაჲ კეთილისა და სურვილი სახიერებისა?

დ. უკეთუ მე ვარ შექმნილი ხატად ⁂ და მსგავსად ღვთისად, ე. ი., უკეთუ შთადგმულ არს ჩემ შორის სული ღვთაებრივი ⁂ უკვდავი? რაჲსათვისღა ვჭსცდები მე მარად წამს, ვჭგმობ აღთქმასა და აღძრცვილებასა შემოქმედისასა, ვამდაბლებ დიდებულებასა ჩემსა და ვაწარმოებ სულსა და ხორცსა შორის. ესე იგი, ჩემ შორის, მარადის დაუცხრომელსა განხეთქილებასა.

ე. მე ვარ შვილი ღვთისა საყვარელი, შექმნილი და დაბადებული დამბადებელის სადიდებელად და შედგენილ ვარ ორის ნაწილისაგან, რომელნიცა მარადის ეწინააღმდეგებიან საგანსა ჩემის დაბადებისასა, მტანჯვენ, მქენჯნიან, და მაგიერად ცხოვნებისა, რაჲსათვისაც შექმნილ ვარ მე, მწყემდენ თვინიერ ნებისა და სურვილისა ჩემისა. რაჲსათვის არს ესე?..

უკეთუ ბრწყინვალებასა თქვენსა ენებება კეთილობათი ყურადღება და ინებებთ განუკიცხავად და უდრტვინველად მოსმენასა მდაბლისა ამის მოხსენებისასა და ღირსმყოფთ პასუხისგებასა,—ვიკადნიერებ მაშინ, რათა აღურაცხო კვალადცა კითხვანი იგი, რომელნიცა ურწმენოთა მიერ ადვილ სათქმელ არიან. ხოლო მე სიღრმესა გულისასა შთაფლულ მაქვს პასუხი, ღვთისმოყვარეების შესაბამი, და ვითარცა ზემორე უკვე მომიხსენებიეს, ვჭბედავ წინადადებისა ამის თქმასა მისთვის ოდენ, რათა ვასიამოვნო თქვენს ბრწყინვალებასა ⁂ შეგიმზადოთ საგანი, რომელზედაც მეცნიერებასა, დიდ გამოცდილებასა თქვენსა შეეძლებოდეს განმახვილებაჲ მწევრმეტყველებისა და საფუძვლიანის საუბრობისა.

სხვებრ დავშთები თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესი მონა

დიმიტრი ყიფიანი.

1841.

მაისის 24 ღღესა.

ტფილისი.

მისს ბრწყინვალებას, უფალს სენატორს, ჯენერალ-ლეიტენანტს და კავალერს კნიაზს გიორგი იესესეს ძეს ქსნის ერისთავს.

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო დ.

მოგეხსენებათ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, რომ ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო და ამ ჩვეულებას მეც გვერდს ვერ ავუხვევ; იმაზეც მოგახსენებთ, რომ როგორც ყოველთვის სხვის, ეხლაც უნდა ვისურვო თქვენთვის: სიცოცხლე, ბედნიერება, სიმრთელე, დღეგრძელობა, წარმატება, შეუსაბამო და სამარცხვინო საქმისაგან ჯმნა, ოტება; ხოლო თავის თვისისა და მოძმეთა საკეთილდღეო საქმისადმი მტკიცე და შეურყეველი წადილი გრძნობით სამოქმედოთ მისწრაფება. ამ წერილით, სხვა თუ არა, ეს მაინც იქნება, რომ თქვენ მე დაგემუსაიფებით, მე თქვენი მორჩილი მონა კიდევ თქვენ გაგახსენდებით და დღესასწაულსაც ეს შეფერის. სოფლელმა გლეხებმაც ასე იციან: ყოველთვის «ფილასოფოლოსობაც არ ვარგაო». ამ საახალწლო წერილის დაწერის დროს ძველი წელიც გამახსენდა და ყველაფერი თვალწინ გარდამეშალა იმისგან ჩადენილი ავ-კარგიანობა. მისგან ქმნილი უკუღმართობა უფრო ბევრი მომაგონდა, ვიდრე კეთილი. ასე გასინჯე, კინაღამ ახალ სტუმარზედაც გული ამიყარა; მაგრამ რა სიმართლე მქონდა მეფიქრნა, ახალი წელი დიდს ბედნიერებას არ მოგვიტანს-მეთქი! რასაკვირველია, როგორც ყოველთვის წრეულსაც მასპინძლურათ დავუხვდით, გარდაუშალეთ ქართულათ გული. პური არ გვიშოვავს და ღვინო! რაც შეიძლებოდა კიდე ტკბილეულობით პირი ჩაუმტკბანურეთ, მეტი რაღა უნდა? ჩვენ მისი აღარაფერი გვმართებს. ეხლა მხოლოდ ჩვენი ვალი მართებს მას. შეიძლება ზოგიერთმა დაიჯერნოს და მკითხოს: რა ვალი მართებს? და რაც ჩვენი საქმე უკუღმა ტრიალებს, წალმით შემოაბრუნოს, რედაქციას რედაქცია შეაყვაროს, მწერალს მწერალი, მღვდელს მღვდელი, ერს ერი, ბერს ბერი და ყველას ერთად ერთმანეთი. ჩვენს ქალებს შეაყვაროს: ქართულის ლაპარაკი, ჟურნალ-გაზეთების კითხვა, კარგი მეოჯახობა, ჭრა, კერვა, ყოველგვარი ხელსაქმარი, ლაჩაქი და თავხურვა, შვილების აღზრდა და ნამდვილი ძველებური დედობა. შეაყვაროთ აგრეთვე ნინოების, ეკატერინების, ანასტასიების და მსგავსთა აზროვნების მიმდევრობა. შეაძულოს: უსაქმობა, ჭორიკანობა, ახალ-ახალი მოდები, შლიაპები, იმაზედ ორ-ორ მანეთიანი ვარდები, ფერ-უმარილი, პრანჭვა-გრეხა და სხ. და სხ. ყოველი გულის საწადელი ნატვრა აგვისრულოს. აი, ახალ წელიწადს ეს ვალი მართებს ჩვენი! აბა, დასტურ, ალაალი ხომ არ არის ასე გულუხვი მასპინძლობა! იქნება კიდევ ზოგიერთმა მკითხველმა ისე საოხუნჯოთ ამიგდოს და მკითხოს: ყოველი ნატვრა აგვიხდინოს, რომ ამბობო, შენ რას ინატრებდიო? რას ვინატრებდი? რას ვინატრებდი და დავისხამდი ქიქაში საჯაოხულს მუხლუფესასავით შავს ღვინოს, დავიკავებდი ხელში და როგორც ძველათ იცოდნენ ახალ წელიწადს ღვინით დალოცვა, ისე დავილოცავდი, ნატვრაც ის იქნებოდა და ლოცვაც. ვიცი, რომ ზოგიერთები ამეკვიატება და დამიჟინებს: ერთი მოჰყევი იმ ძველებურ საახალწლო ღვინით დალოცვასო და აბა ახალ წელიწადს ვარის თქმას როგორ გავბედავ! დიდის სიამოვნებით, ჩემო ბატონებო! აი, ის ძველებური საახალწლო ღვინის დალოცვაც:

დიდება აქვს ღმერთსა,
მადლი მოწყალესა.

ღმერთო, მიეცი ჩვენს მხარეს
ჭვარი შეზავებული,
ოჯახი პურით და ღვინით
სავსე და გალაღებული.
სასიმინდე და ბეღელი
არ გვქონდეს ამოღეული,
მჯავრი გვაშორე, მუდამ ჟამ
გვამყოფე გახარებული.
შვილები მოგვეც ჭკვიანი,
ნასწავლი, განათლებული,
სამშობლოს საკეთილდღეოდ
მოქმედი, თავდადებული.
არ გაუკვირდეს ცოტა რამ,
არ გახდეს თავგზეული
უკუღმა საქმე წინდაწინ,
რომ ჰქონდეს გამორკვეული,
ქვეყნის მტერს უდგეს კრიჭაში,
გულმწყრალი, გაბრაზებული,
რომ დაუბნიოს მათ საქმე
დაწყობილ-გამოგნებული.
ვით მინდვრად მონადირისგან
ირემი გამოგდებული,
უკან გარბოდეს ის ბილწნი
შიშნეულ-აბორგებული.

ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდეს
პირშავი, გამწარებული;
ბრალს სდებდეს ერთი მეორეს,
მლეული, დამარცხებული.
ნატრობდეს წარსულ სიხარულს,
გულმკვდარი, დანაღვლებული,
ვერ მიხვდეს, რასაც ჰგონობდეს
ტვინ-გამხმარ გალაყებული.
ჩვენი რაინდი შესცქეროდეს
ამ ყოფას გაღიმებული,
ხარობდეს, ქვეყნად რა ნახოს
მშვიდობა დამყარებული,
სცემდეს დაფსა და ნაღარას,
ლხინობდეს გახარებული.

—

აღგვისრულე, რაც რომ გთხოვეთ,
ღმერთო, ჩვენო პატრონო!
გაუმარჯვე აქ ბძანებულს
და შენდობა, პატრონო!

რ. საჯაოხელი

ახალ წლის გამო.

გამოცანაა აუხსნელი ჩვენი დროება...
ის კაცის გულსა აძლევს ძლიერ მცირე შვებასა;
განუწყვეტლად ის მირბის და იქ მიიჩქარება,
სადაც სამუდამო სუფევა აქვს სათნოებასა...
დასაბამიდგან წვალებულსა ადამიანსა—
ვერ შეუგნია ჯერ თავისი დანიშნულება
და თვის ტანჯვას კი ბედს აბრალებს თვალცრემლიანი,
აბრალებს... ოხრავს და კვნესაში მას სული ხდება.
უმეტესობა ამ სოფელში ოქროს ალმერთებს,
და არ არსებობს მისთვის სხვა რამ მაღალი,
პირუტყვის მსგავსად უგუნურად სიცოცხლეს ჰფანტავს,
და «კუჭის მრწამსი» მისთვის წმიდა არს იდეალი.
სანუგეშებლად ყოველთვისა მოიპოვება
კეთილშობილი მცირე გუნდი რჩეულ კაცების,
რომელთ მოძმისა უმეცრება ღრმად გულსა უწყლავს
და მოციქული არის მუდამ ჭეშმარიტების...
მაგრამ ხშირადა მოციქულსა ჭეშმარიტების
უგნური ხალხი სდევნის ულვთოდ და აცვამს ჯვარზედ,—
ძნელია ხვედრი ბოროტისა მამხილებლისა
ხშირად იკვლების იგი ძმისთვის საკურთხეველზედ.
იკვლების ხშირად... ქვეყნად მაინც მამმონი მეფობს,
ეს მტერი აზრის თავისუფლად აღყვავებისა,
მტერი, რომელიც გამარჯვებას დღესასწაულობს,
გამრყვნელი კაცის პატივის და მის ღირსებისა.
დღესასწაულობს... ყველგან ხედავ მლიქვნელობასა,
სიცრუვეს, სისხლსა... მაიმუნურს მასხარობასა,
განძრახს სიძულვილს სიმართლისას, მამლა-ყანწობას,
კაცის ღირსების დამცირებას, პირუტყვობასა...
ხედავ... შეგნებულს კაცს ცრემლით გევსება თვალი
და შავ-ბნელადა გეხატება შენ მომავალი....
იმედ-მიხდილი სწყევლი დღესა შენის შობისას,
კაცის სიწამხდრეს, უბედურსა ხვედრსა მისასა,
მაგრამ ამავ დროს ხედავ მცირე ღვაწლს კეთილისას
და გმირულს ლტოლვას ცოდნისადმი გონებისასა...
მსწრაფლად მხნევდები ნაღვლიანი... მაგრამ დროება
მაინცა მირბის და თან მიაქვს ტვირთი ტანჯვების,
სისხლ-ცრემლით სვრილი... მირბის და იქ მიესწრაფება,
სადაც ანათებს კურთხეული მზე სათნოების...
მირბის... და მას საუკუნო ჩარხის ტრიალში,
ვითა ფურცელნი შემოდგომის კაცნი სცვივიან,
მილიონობით ხალხი ჩადის ბნელს სამარეში
და ახალ-ახალი თაობანი იბადებიან...
ისევ წვალება... მაგრამ კაცსა მუდამ წამებულს
მაინცა უყვარს წუთისოფლის მოკლე ცხოვრება,
უყურებს იმას, როგორც ჯილდოს ზეცით მოცემულს,
ულოლავებს მას მოწიწებით და ეფერება...
უყვარს... ეს აძლევს მას მხნეობას ეკლიან გზაზედ
და ეს მხნეობა მის გულში შობს იმ წმიდა რწმენას,
რომ დღეს თუ არ ხვალ სიმართლის მზე ამოვა ცაზედ
და სიხარულის სხივებს მოჰფენს აწ წყლულს ქვეყანას.

მოჰფენს... და კაცი წამებული მაშინ იხარებს,
მაშინ შეიგნებს იგი თავის დანიშნულებას,
ბოროტებისა ბილწს კერპს ზიზღით ძირს დაანარცხებს
და გააღმერთებს კეთილსა და ჭეშმარიტებას.
მაშინ სანატრი ყველასათვის ხანა დადგება
დედა-მიწაზედ—სიმართლის და ნეტარებისა,—
და ხორცს შეისხავს უმაღლესი იესოს მცნება
მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოებისა.
მაშინა მხოლოდ მაშინ მიწას შუქი ახალ მზის
უღრუბლო ციდგან მანათობლად გამოუჩნდება...
და კაცს შეცვლილსა, გაახლებულს, ვით ნამი ზეცის,
ახალი სული ახალ ცოდნით მოევლინება.
და ეს რწმენაა თანშობილი ყოველის კაცის,
რწმენა მთელისა ცის ქვეშეთის, ქვეყნიერობის,
რწმენა, რომლისა ხორც შესხმისთვის მსხვერპლად იკვლების
რჩეულნი შვილნი ცოდვით სავსე კაცობრიობის!..

ილ. ჩხერიმელის-პირელი.

პედაგოგიკის ისტორიიდგან

ბავშვების აღზრდა რომში

(გაგრძელება *)

კატონმა დასწერა თხზულება: «ბავშვების აღზრდა». ამ თხზულებამ ჩვენამდის ვერ მოაღწია. ვიცით, რომ კატონი იყო საშინელი მტერი ბერძნული განათლებისა, რომლითაც რომაელები ძლიერ იყვნენ გატაცებულნი იმის დროსა. ის მუდამ ამბობდა: «ბერძნები ცუდი ხალხიაო» და თამამად უქადაგებდა მოძმე ერს შეეყვარებია სულით და გულით თავისი დედა-ენა, მუდამ თვალწინ ჰქონოდა გამოხატული წარსული თავ-გადასავალი რომისა, მისი დიდებული ისტორია. კატონი უქადაგებდა რომაელებს არ დაეკარგათ ძველი რომაული ხასიათი, ძველი რომაული მარტივი ცხოვრება—უეჭველია, რომ კატონი თავისს თხზულებაში «ბავშვების აღზრდა» თვისს კეთილ-შობილურს აზრებს გაატარებდა.

*) იხ. „მწყემსის“ მე-22 № 1893 წ.

ციცერონი სცხოვრებდა ქრისტეს წინ. აღზრდას—ამისი აზრით—მიზნად უნდა ჰქონდეს განავითაროს ბუნების მიერ მოცემული, თანშობილი ნიჭები ბავშვისა, განსაკუთრებით მისი ჭკუა-გონება. ბავშვს პატარაობითვე უნდა შეაჩვიონ დინჯური შრომა, საქმიანობა, და უნდა განავითარონ მასში კეთილ-შობილური მიდრეკილებანი. ბავშვები უნდა მოშორებულ იქმნენ სხვა და სხვა ცუდს, ზნეობის და ხასიათის გამრყვნელს მაგალითებსა. ისინი უნდა შეაჩვიონ პატარაობითვე სძლიონ სხვა და სხვა გასაჭირთა, სხვა და სხვა ნაკლულევანებათა, რომელნიც კაცს ხშირად ხვდება ცხოვრების გზაზედ. ესრედ აღზრდილი ბავშვი დიდობისას იქმნება უეჭველად მხნე, შრომის მოყვარე, მუყიათი, სასარგებლო თავისთვისაც და ქვეყნისთვისაც.

დიდს ყურადღებას აქცევს ციცერონი ბავშვების აღზრდას სარწმუნოების ზედ-გავლენის ქვეშე. სარწმუნოება—იმის აზრით—არის საუკეთესო წყარო ხალხის ზნეობითი განვითარებისა. თუ ბავშვს სწამს, რომ ღმერთი ხედავს ყოველს მის საქციელსა, გრძნობებსა და აზრებსა, ის ეცდება სიცუდეს აშორდეს და მოიქცეს ისე, როგორც ღმერთს ესიამოვნება.

ბავშვს მშვიდად და სამართლიანად უნდა ეპყრობოდნენ, მაგრამ არც მეტის მეტი მოფერება და მოალერსება ვარგა. მოფერებას შეუძლია ბავშვი გაანებივროს და ავ-ზნეს მიაჩვიოს. დასჯას მიზნად უნდა ჰქონდეს არა სამაგიეროს გადახდა ბავშვისათვის, არამედ მისი ზნეობითი გასწორება, გაუმჯობესება. კაცის ბუნების დამამცირებელი სასჯელი ბავშვს არასოდეს არ უნდა მიუსაჯონ. დასჯას ბავშვისას უნდა მიმართოს აღმზრდელმა მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში.

გონებითი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეხსიერებას (ПАМЯТЬ), ამ სალაროს კაცის ცოდნებისას, ციცერონი ურჩევს მასწავლებელს ზეპირად ასწავლოს მოსწავლეებს სხვა და სხვა საუკეთესო ნაწარმოებნი პოეტებისა, თუნდაც ამ ნაწარმოებთა შინაარსი არ ესმოდეს ბავშვებს. ამ შემთხვევაში—ამბობს ციცერონი—ენა შეითვისებს მშვენიერს სიტყვებს და მეხსიერება კი—მშვენიერს აზრებს.

მაგრამ ჩვენის მხრით ჩვენ არ შეგვიძლია სავსებით მივიღოთ ასეთი აზრი ციცერონისა. რომ მეხსიერების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნათა შეძენის საქმეში, ეს ცოტად თუ ბევრად ყოველი შეგნებული პირისთვის ცხადია. მაგრამ წაკითხულის შინაარსის შეგნება და შეთვისება შეადგენს ერთს არსებითს მოთხოვნილებათაგანს სწავლე-

ბისას. უკეთუ მოსწავლეს წაკითხულის შინაარსი არ ესმის, რას გააწყობს მარტო „მშვენიერი ახრების» და «მშვენიერი სიტყვების» ზეპირად შესწავლა?! ბავშვი მხოლოდ მაშინ განვითარდება გონებით, მაშინ იქნება ის მომავალში მცოდნე და შეგნებული ადამიანი, როდესაც მისი საკუთარი თვით-მოქმედება მონაწილეობას იღებს ცოდნათა შეძენაში, როდესაც მას კარგად ესმის და ცხადად გაეგება ის, რასაც სწავლობს, ან რასაც ასწავლიან. წინააღმდეგს შემთხვევაში მისი მეხსიერებაც ძალე დაიღლება, დაჩლუნგდება და ბოლოს გონებით განვითარებულის, შეგნებულის პირის ნაცვლად ხელში შეგრჩებათ განუვითარებელი, «გამოყრუებული» პირი. თუთიყუშური ზეპირობა, შეუგნებელი რახა-რუხი სიტყვებისა და ფრაზებისა ბავშვს გახდის სხვისი ახრეაის ყურმოჭრილ ყმად და მოჰკლავს მისს გულში ლტოლვილებას თავისუფალი, საკუთარი განვითარებისადმი. განა ცოტანი არიან ჩვენში დღეს ისეთი პირები, რომელთაც დალაგებული ლაპარაკი არ ეხერხებათ, წიგნებს არ ჰკითხულობენ, ჭამა-სმის მეტს არას აკეთებენ?! ამ ვაჟ-ბატონებს მშვენიერი «დიპლომები» და «ატტესტატები» აქვსთ... მაგრამ ერთის მხრით ასეთის პირების გამართლება შესაძლოა. ვინ იცის, ეგება ცუდმა აღზრდამ, არა-გონიერმა სწავლებამ, თუთიყუშურმა ზეპირობამ მოჰკლა მათში თვით-მოქმედება და მისწრაფება თავისუფალი ძალა დაუტანებელი განვითარებისადმი?!

ჭაბუკმა—ციცერონის ახრით—უნდა წინდაწინ განსაზღვროს, რა მოქმედება, რა სამსახური უფრო შეეფერება მისს ხასიათს, რაა მისი მოწოდება მომავალში, ასწოხ-დასწონოს თავისი ნაკლულევანებანი და ღირსებანი და ამისდაგვარად თავისი თავი მომავლისთვის მოამზადოს. ჭაბუკი პატრეს უნდა სცემდეს უფროსებს, მოხუცებულებს, შეეჩვიოს ზომიერს ცხოვრებას, მოითმინოს სხვა და სხვა ნაკლულევანებანი, შეიძაგოს ხორცის განებივრება, ნაყროვანება. მხოლოდ ესრედ აღზრდილი ჭაბუკი მომავალში იქნება ნამდვილი ადამიანი, კეთილშობილი მოქალაქე, სასარგებლო სამშობლოისთვის და მოძმე ერისთვის.

ილ. ფერაძე.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა.

არაკები, მოწაფეთათვის სახმარებლათ სულხან-საბა ორბელიანისა, გამოკრებილი «სიბრძნე-სიცრუვიდამ» და გამართული ნ. მოვარელიშვილის მიერ.

დიდი სიძვირეა ჩვენში ხეირიანათ დაწერილის და გამოცემულის საყმაწვილო წიგნებისა. შინაარსი რომ აღარ მოვიხსენიოთ, მარტო გარეგანის მხრით სუფთათ შედგენილი წიგნი სანთლით საძებარია. ერთ გვერდს ისე ვერ გადაშლი, რომ ზედ ათიოდე გრამატიკული ნაცთომი, ან რუსიციზმები, ან კიდევ ცნებათა და სიტყვათა არევ-დარევა თვალში არ გეჩხირებოდეს. მარტო ამ მხრით რომ გავსინჯოთ, მაშინაც შეუდარებელ საუნჯედ უნდა ჩაითვალოს ჩვენის სკოლებისათვის «სიბრძნე-სიცრუვის» არაკები. თვითეული არაკი ისეთის დაბიურის და კლასიკური ენით არის შეზმნილი, რომ არ შეგიძლია სადმე კენტი სიტყვა ან დააკლო, ან შემატო, თუ სიტყვის ეკონომიას და ცნებათა წარმოჩინების ფსიხოლოგიურ წესებს არ დაარღვევ. შინაარსის მიხედვით რომ გავსინჯოთ «სიბრძნე-სიცრუვის» წიგნი, თამამათ შეგვიძლია ვთქოთ, რომ, თუ რომელიმე ერსა ჰყავს მეარაკე, ჩვენცა გვყავს. ვერც საგანთა მრავალფროობით, ვერც გონების სიმკვეთრით, ვერც საამურის იუმორით ესაბას ვერ დაჰკრავს ვერც ერთი დიდებული მეარაკე. და რამდენია სულ ამისთანა მეარაკე? სულ ოთხიოდე მთელს დედამიწის ზურგზე!

ამიტომაც საუცხოო ფიქრი მოსვლია ამხანაგობას ამ წიგნის ხელახლა გამოცემისა და თან ასე გამართვისა. ამ გამოცემას სჭირს სამი სიკეთე: წიგნში მოთავსებულია ყველა არაკები «სიბრძნე-სიცრუვისა, რანიც ყმაწვილს წაეკითხება, და თვითეული არაკი შინაარსის შესაფერათ სახელდებულია. წიგნს ზედართული აქვს საჭირო ბიოგრაფია ავტორისა. ბოლოს ძნელ-გასაგები სიტყვების ლექსიკონიც მიყოლებულია.

მაგრამ (უმაგრამოთ ხომ დაუდეეროობისა გამოადვილი საქმეც ვერ კეთდება ჩვენში) ამ სამ ღირსებას სამი ნაკლიც ათანიავებია. ერთი ის, რომ გამმართველს ლექსიკონში შეუტანია ახსნა აირა სიტყვებისა: ცელი, ყასაბი, თემი, სამსალა, მანგალი და სხ. და სრულიად აუხსნელად გაუშვია ისეთი იშვიათი სიტყვები, როგორნიც არიან: მოთხე, პირაშკმული,

ფოლორკი, მუნ, დაუცან, ქენება, მრწემი, სისხლი შემოექმნა, როკვა, ყარშიობა, მაშია, გალმდა, წავუ-ლოთ (წართმევის აზრით) და სხვ. ზოგი სიტყვა კი ბუნდეთ არის ახსნილი, მაგ. ჰუბუტი.

მეორე ნაკლი ის არის, რომ გამმართველს წიგნის ზოგადი შინაარსი სრულიად უყურადღებოდ გაუშვია. საჭირო იყო, რომ პატარა მკითხველები ამ მხრითაც გაეცნობებია «სიცრუეის სიბრძნესთან». ეს გაცნობება საჭიროა ყველა იმათთვისაც, ვისაც მთელი წიგნი არ წაუკითხავს ერთათ, ან წაუკითხავს, მაგრამ შიგ გაბმული ძაფი ვერ მიუგნია. შინაარსი შეიძლებოდა სულ ხუთიოდე ფრაზით გამოხატულიყო და შიგ გმირები მოხსენებულიყო. უამისოთ კი გაუგებარია აი ამისთანა ადგილები წიგნში: „რა ესე გაჰყენა, მეფეს იამა, ლეონს მადლი უბრძანა...» (გვ. 46) «ლეონ მოახსენა მეფეს: ჩემი შობისა და ძამა-დედათა უცნობელობისა უწინარეს (?) ეკადრე მეფობასა თქვენსა...» (გვ. 79). «შენ მაგ ბუნების პატრონი ხარ, ყოველი კაცი გიყვარს და მე კი ყველანი მძულან... მე ვისზე რა დანაშაული მაქვს, რაც ცუდათ არ ამამტერდენ» (გვ. 64). შეიქმნა დიდი თქმულობა მეფესა, ვეზირსა და რუქას შორის... რუქამ იგივე სთქვა, ლეონ აფიცა ჯუმბერსა» და სხ.

არაკების ხელში ამღებმა წინდაწინვე უნდა იცოდეს, რომ იგინი გამოკრებილია «სიბრძნე-სიცრუეის წიგნითგან», სადაც გმირები მეფე ფონეზ, ვეზირები სედრაქ და რუქა, აღმზრდელი ლეონ და ძისი მოწაფე, უფლის წული ჯუმბერ შეცილებულან სხვა-და-სხვა წიგნებზე და კამათობაში თავანთ აზრების დასამტკიცებლათ მოჰყავთ არაკები. ეს არაკები, გინდ ცალკე წაიკითხო, მაინც აზრია შიგა და თუ წიგნის შინაარსთან შემხებლობას მისცემ, კიდევ უკეთესი.

დასასრულ, რაკი წიგნი სამოწაფოდ არის დანიშნული, არ შეგვიძლია არ შეეხოთ მის ეთიმოლოგიასაც. წიგნში ნახმარია მრავალგზობითის სახის ზმნის ფორმა: აჭამის, ასვეს, მოვიდინ, შექმნიან და სხ. გამმართველს ერთხელ მაინც უნდა შეენიშნა საქმე, თუ რას ნიშნავს ეს და როგორ იხმარება დღეს. საჭიროა სამოწაფო წიგნი მზამზარეულათ იყოს შედგენილი, თორემ, ვინ იცის, როგორს ოსტატს ჩაუვარდება ხელში.

კორეკტურაც არ არის წუნდაუდებელი. გამმართველი ზოგან ხმარობს ნენ-ს, ზოგან ენ-ს. პირველსავე გვერდზე წერია: ნადირობდენ, ცდილობდენ, რონინებდენ. მეექვსე გვერდზე: გამოვიდნენ, იქცნენ, მძულდნენ. ხან ისეა, ხან ასე, რომელს დაადგეს ამის შემხედვარე მოწაფე კითხვაში, წერაში და სიტყვა-პასუხში? ნენ უნდა ზმნას ბოლოში წარსულ დროში, მრავლობითს რიცხვზე, თუ ენ? ეს საკითხი უკვე გარდაწყვიტა გაზეთ «ივერიამ» მას შემდეგ, რაც ბ. ესომმა თავისს კვლევაში გამოაცხადა ამას წინათ, რომ ნენ არის კანონიერიო. ამას ამტკიცებს რაღაც ძველის ფორმებით, რომელიც უკვე ამოიჭამა ქართულმა ენამ. «კვალი» უარჰყოფს ამას და ხმარობს შემოკლებით ენ: მოგიდენ, წერდენ, და ჰრიან. ახლაც ხმარობს ხალხი ზოგჯერ ძველ ფორმას მოსულარიან, ნაცვლად ახალის ფორმისა-მოსულან. ბ. ესომი იმასაც კი ამბობს, რომ ხალხი ამბობს ასე: მოვიდნენ, დაეცნენ და სხ. ვარწმუნებთ პატივცემულს ენის მკვლევარს, რომ ხალხის სამი მეოთხედი ამბობს: მოვიდენ, დაეცენ და სხვ. «ივერიაც» მალე ასე იტყვის, როგორც დღეს უკვე ამბობს ნაცვლად უწინდელის სიტყვისა სოფლიდგან, სიტყვას სოფლითგან... არაკების სათაური ზოგჯერ უკანონოა, მაგ. მოჩიგანი უნდა იყოს მომჩიგანი.

ქართულის ენის მასწავლებელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

თბილისის ადგილობითი გაზეთებისაგან გამოცხადებული ამბავი, რომ რუსეთიდამ უკვე ჩამოვიდა რევიზორი თბილისის სასულიერო სემინარიის საქმეებისა გამოო, ტყუილი გამოდგა. გაზეთებისაგან გამოცხადებული რევიზორი, გვარად ნეჩაევი, გამოდგა ვილაც ვაჭარი, რომელიც ჩამოსულა რუსეთიდამ თავის საქმეებისა გამო. ხსენებული საქმის გამოსაძიებლად, ვგონებთ, რევიზორი არც კი მოვიდეს ჩვენს სემინარიაში, რადგან ყოველივე ხსენებული საქმის ვითარება სემინარიის სამმართველოს მოუხსენებია უწმიდესი სინოდისათვის, რომელიც ამ მოხსენებისა-

მებრ დაადგენს თავის აზრს. ხმა ისმის, რომ უწმიდეს სინოდში ამ საქმის შესახებ მსჯელობა მოხდებოდა 12 იანვრიდამ 15-დე. იმედია, რომ ამ მოკლე ხანში მოხდება რაიმე განკარგულება და სემინარიის მოწაფეებსაც დაიბარებენ. ამ განკარგულებამდე არც სემინარიელები უნდა წავიდენ სემინარიაში, როგორც ეს მათ ბილეთებშიაც უწერიათ.

***

14 იანვარს, წმ. მოციქულთ-სწორის საქართველოს განმანათლებელის ნინას დღეობას ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა სწირა ქუთაისის საქალებო სასწავლებლის ეკკლესიაში. წირვაზე გალობდა თვითონ მოსწავლე ქალებისაგან შემდგარი ხორო ქალბატონი თამარა მესხის ლოტბარობით. განიცადენის დროს ამ სასწავლებლის სჯულის მასწავლებელმა მღვ. მ. ალექსი გიორგაძემ წარმოსთქვა დღის შესაფერი მშვენიერი სიტყვა. ამ სიტყვას ჩვენ შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ. წირვაზე მრავალი საზოგადოება დაესწრო. წირვის გათავების შემდეგ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი წმ. ნინას სახელობაზე. შემდეგ პარაკლისისა მრავალი საპატიო სტუმრები მიწვეულ იქმნენ სასწავლებლის უფროსისაგან საუზმეზე.

***

როგორც ქალაქის ახალი მოურავის დანიშვნა დაეტყო ქუთაისს, ისე ახალი პოლიციის უფროსის ბ. სვიმონოვის დანიშვნამ იქონია სასურველი შედეგი. «წერეთლის აბაზები», რომელიც დღემდის ასე ბლომად სადღებოდა ხალხში და დიდ ზარალს აძლევდა ჩვენს საზოგადოებას, დღეიდამ იმედია, სამუდამოდ მოისპობა, რადგან ბ. სვიმონოვის მეცადინეობით ბ. წერეთელი და მისი კამპანია უკვე შეიპყრეს. ბ. სვიმონოვის წყალობით პოლიციის მოსამსახურეთა შესახებ ისეთი წესებია შემოღებული, რომელთა მეოხებით იმ სამწუხარო მოვლენათა — ცარცვა-გლეჯას, შუაღლისას და შუაგულ ქალაქში აღარ ვიხილავთ. მხოლოდ მიუცილებლად საჭიროა, რომ ბ. სვიმონოვს მხარი მისცენ ყველა მისმა თანამოსამსახურეებმა და საზოგადოებამ.

***

არქიერის გორაზე მცხოვრებნი ქუთაისში დიდ გაჭირვებაში არიან უგზობისა გამო. ამ გაჭირვებას დღემდის ითმენენ საწყლები, მაგრამ რაიმე ავადმყოფობის დროს მეტად უბედურს მდგომარეობაში არიან მცხოვრებნი, რადგან ჩვენი ექიმები უეტლოდ ფეხსაც არ ადგმენ და ამ გორაზე ეტლი ძლიერ ძვირად ამოდის. გარდა ამისა ამ გორაზე არის სასულიერო სასწავლებელი, რომელშიაც 600 ყმაწვილი სწავლობს და რომელთაგან ქალაქის მცხოვრებთ დიდი შემოსავალი აქვსთ. აქვე არის ყოვლად სამღვდელოს გაბრიელის სასახლეც. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი დიდი ხანია სთხოვდა, ვისიც ჯერ იყო, რომ ფერმის ქუჩიდამ მის სასახლემდე გაეყვანათ ხეირიანი გზა. მაგრამ მათი მეუფების თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული. დადგა თუ არა ქალაქის ახალი მოურავი, მან ყურადღება მიაქცია მათი მეუფების კანონიერ მოთხოვნილებას და მასთან სთხოვა ყოვლად სამღვდელო გაბრიელს, რომ სამღვდელოებასაც დახმარება აღმოეჩინა ამ გზის გასაკეთებლად. ყოვლად სამღვდელომ მიმართა სამღვდელოებას, რომელმაც სიხარულით მიიღო თავისი საყვარელი მწყემსმთავრის თხოვნა და თავის შეძლებისამებრ გამოიღო ფული ხსენებული გზის გასაკეთებლად. ქალაქის მოურავმა ბ. ლოლუამ მოახსენა ამ საქმის ყოველივე გარემოება ქალაქის საბჭოს, რომელმაც ერთ თავის კრებაზე უკვე დაადგინა ამ გზის გაყვანა და თავის თავზე ნახევარი ხარჯის მიღება. ამ დღეებში ხსენებული გზა უკვე გაპლანეს და იმედია, მალე შეუდგებიან მუშაობასაც.

***

ვლადიკავკავის ეპარქიის სასულიერო მთავრობას, დიდი ხანია, სურდა რომ საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულიყო და პირდაპირ უწმიდეს სინოდთან ჰქონოდა საქმე. როგორც ხმები ისმის, ეს სურვილი უკვე შესრულებია ამ ეპარქიის სასულიერო მთავრობას. ეხლა საქმე იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოიქცევა კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის უმეტესი ფული ხსენებულს ეპარქიაზე იხარჯება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აფხაზეთის ეპარქიაც მოისურვებს, რომ ასეთივე დამოკიდებულება მოიპოვოს.

მაშინ მთელი სიექსარსოსო იქნება შემდგარი სამი ეპარქიისაგან. გასაკვირველია, თუ უფრო მორეული მხარეების ეპარქიებისათვის შესაძლებელია, რომ მათ პირდაპირი დამოკიდებულება იქონიონ უწმ. სინოდთან, რატომ ესეც არ შეიძლება ჩვენი მხარისათვისაც?...

***

სოფლის გალმა ჩუნეშის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის სიმონ ნემსაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ შეწირულებათა სიას თქვენს პატივცემულს გაზეთს «მწყემსში», რომელთაც თვისის კეთილ მნებელობით ისურვეს შეწირვა ჩემდამი რწმუნებულის გალმა ჩუნეშის სოფლის წმიდის გიორგის ეკლესიისადმი: კნეინა ანასტასი ლორთქიფანიძისა, სიმონის ასულმან ერთი ხელი შესამოსელი ფარჩისა: ფილონი, ოლარი, სარტყელი, სამკლავები, და ბედენიკი, ღირებული 30 მან. შემოსწირა, მოსახსენებლად გარდაცვალებულის მისი მეუღლის თავადის ნიკო გიორგიზის ძის ლორთქიფანიძისა.—

თავადის ბესარიონ ბუჭუას ძის ლოთქიფანიძის მეუღლა ნინომ—აბრეშუმის სტიხარი, ოლარი, სარტყელი და სამკლავები, ღირებული 15 მანეთად, მოსახსენებლად დედისა მისისა ელისაბედისა.

მღვდელმა სიმონ ნებსაძემ, მოსახსენებლად გარდაცვალებულისა ძისა ჩემისა ვლადიმირისა შეესწირე ამა ეკლესიას: ერთი განსაზავებელი ვერცხლისა, ერთი შანდალი ფრაქისა, ერთი საიაზმე მაკარიის ხელოვნებისა, ერთი ჯვარი ტრაპეზედ დასადები მაკარიისავე ხელოვნებისა, საწიგნე და სამგალობლო, ერთი რწყვილი შავი ხავერდის შესამოსელი: ფილონი, ოლარი, სტიხარი, სარტყელი და ბედენიკი. ყველა ეს ჩემგან შეწირული ნივთები არის ღირებული 60 მან. და 35 კაპეიკისა.—

ზემო აღნიშნულ ორთა შემომწირველთა გულითად მადლობას უძღვნით, როგორც მთლად ჩემი მრევლი, აგრეთვე მეც. ვისურვებ, რომ ამ კეთილ საქმეს მიმბაძველი აღმოჩენოდეს ჩვენი ღარიბი ეკლესიის შესაწევნელად».

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილმსახურებაზედ.

წმ. დიდი მოწამე ქეთევანი, კახეთის დედოფალი.

(13 სექტემბერს)

წმიდა დიდი მოწამე ქეთევანი იყო ასული ამოთისა, მფლობელი თავადის ბაგრატიონ—მუხრანსკისა. სიყრმიდგანვე ქეთევანი იყო დიდი ღვთის მახური და მტკიცე ხასიათისა, რომელთა წყალობით მან ბოლოს მოიხვეჭა მოწამებრივი გვირგვინი. ქეთევანი, როცა იგი კახეთის მეფე დავითის მეუღლედ გახდა, განაგებდა სახელმწიფო საქმეებს ნაცვლად თავისი უნიჭო მეუღლისა და კიდეც მოიკვანა სახელმწიფო საქმეები წესიერებაში. ქეთევანმა დაამშვიდა ურჩი და მეამბოხე დიდ-კაცობა, დაიფარა თავისი სამეფო გარეშე მტერთაგან, აღმოუჩინა მფარველობა ქრისტეს ეკლესიას და სახელი გაითქვა ქველმოქმედებით.

დავითი მხოლოდ ექვს თვეს იყო მეფედ. მისი გარდაცვალების შემდეგ კახეთის სამეფო ტახტი ხელმეორედ დაიჭირა მოხუცებულმა ალექსანდრე II, დავითის მამამ, რომელსაც მეფობა წაართვა თავ-მოყვარე შვილმა. ალექსანდრეს მემკვიდრედ ითვლებოდა მისი უმცროსი შვილი გიორგი. ქეთევანს ჰყავდა ძე თეიმურაზი, რომელიც მძევლად გაუგზავნა სპარსეთის მეფეს, თვითონ კი დაესახლა ერთს განკერძოებულ ადგილს ⸗ შეუდგა თავის სულის საქმეს. რადგანაც მეფე ალექსანდრე იყო მოხუცებული, და მისი მემკვიდრე გიორგი ძლიერ ახალგაზდა, ამიტომ სპარსეთის შაჰმ აბბას I მოინდომა ესარგებლებია ამ შემთხვევით, დაეპყრო კახეთი და გაეერცელებია იქ მაჰმადის სარწმუნოება. შაჰის სატახტო ქალაქ ისპაგანში სცხოვრებდა მეფე ალექსანდრე მეორეს შვილი კუსტანტინე, რომელმაც მიიღო მაჰმადის სარწმუნოება და ძლიერ ბიწიერად სცხოვრებდა. შაჰმ მოინდომა ამ ქრისტეს სარწმუნოების მგმობელს, ქრისტიანობის სასტიკ მტერს, დაეპყრო კახეთი, მოეკლა მამა, და, ძმა და

თვით გამზდარიყო ამ ქვეყნის მეფედ და გაეერცელებია კახეთში მაჰმადის აღსარება. კოსტანტინე აუარებელი ჯარით მოვიდა კახეთში, ეშმაკობით მოიტყუა თავის ბინაზე თავისი მამა ალექსანდრე და თავის ძმა გიორგი და აქვე უბრძანა თავის მხლებლებს აეკუწათ ისინი და მათი მახლობლები. გარდაცვალებულთა გვამები კოსტანტინემ გაუგზავნა ქეთევანს და თვითონ მას შეუთვალა გაჰყოლოდა მას მეუღლედ, წინააღმდეგ შემთხვევაში მუქარას უთვლიდა, რომ ძალაით შვირთავდა მას ცოლად. ღვთის მოშიში დედოფალი აღაშფოთა ამისთანა წინადადებამ და გამოგზავნილი კაცების პირით დედოფალმა კოსტანტინეს მკვახე უარი შეუთვალა. ამის შემდეგ მთელი კახეთის დიდკაცობა დედოფლის წინადადებით ჯარით გამოვიდა სპარსელების წინააღმდეგ. კოსტანტინეს ჯარი სრულიად დამარცხდა და თვითონ კოსტანტინეც მოჰკლეს.

სპარსელების დამარცხების შემდეგ, ქეთევანი, როგორც ერთად ერთი წარმომადგენელი სამეფო სახლისა, ძალაუნებურად ხელახლად შეიქმნა სახელმწიფოს გამგედ. მაგრამ მას სურდა მოეშორებია თავიდამ ეს მძიმე ტვირთი. შეჰკრიბა გამოჩენილი დესპანები და გაგზავნა იგინი სპარსეთის მეფე აბბასთან და სთხოვა მას დაებრუნებინა მისთვის ძე თეიმურაზი, რათა იგი გაემეფებია კახეთში. დესპანებმა მიართვეს შაჰის მდიდარი საჩუქრები და მასთან მათ განუცხადეს შაჰს, რომ, თუ იგი უარს ეტყვის მათ, კახეთი შეუერთდება სათათრეთს, რისიც მუდამ ეშინოდა შაჰს. შაჰმ მდიდრულად დაასაჩუქრა თეიმურაზი და გამოგზავნა კახეთში. მოვიდა თუ არა თავის სამშობლოში, თეიმურაზმა თავის დედის ქეთევანისაგან მიიღო სახელმწიფოს გამგეობა (1605 წ.) ამის შემდეგ ბევრ ხანს არ გაუცლია, რომ თეიმურაზმა ცოლი შეირთო და მიეცა ორი ვაჟი და ერთი ქალი. აქედამ დაიწყო ყოველივე უბედურება თეიმურაზ I სახლობისათვის და განსაკუთრებით მისი დედის ქეთევანისათვის. აბბასმა მიიხმო ისპაგანში თეიმურაზი, თითქო გასართობად, რადგან თეიმურაზი მომეტებულად შეაწუხა მეუღლის სიკვდილმა. აქ შაჰმ წინადადება მისცა თეიმურაზს შეერთო მას ცოლად ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის ქალი, ხოლო თვითონ კი სურდა ლუარსაბის მეორე ქალის ცოლად აყვანა, მაგრამ არ ამცხადებდა კი, თუ თვითონ რომელი სურდა ამ ორ დაში, უფროსი თუ უმცროსი. თუმცა ქართლის მეფე ლუარსაბ II თეიმურაზი ნათესავები იყვნენ, მაგრამ რადგან აბბასი ძალას ატანდა, თეიმურაზი დაბრუნდა კახეთში, შეირთო ცოლად ლუარსაბის უფროსი ქალი, ხოლო უმცროსი და სპარსეთში გაუგზავნეს შაჰის. აბბასი დარწმუნებული იყო, რომ ორივე მეფეებისაგან უარს მიიღებდა, რადგან მისი მოთხოვნილება წინააღმდეგი იყო ქრისტეს სჯულისა და მხოლოდ მიზეზს ეძებდა, რომ ომი გამოეცხადებია ამ მეფეებისათვის, მაგრამ ლუარსაბ მეორეს და თეიმურაზს არ სურდათ თავისი ქვეყნის და ხალხის აოხრება და ამიტომაც შეასრულეს სპარსეთის მზაკვარი მეფის მოთხოვნილება და ამით შეაყენეს მისი განზრახვა. როცა ამ გზით იმედი გაუცრუვდა აბბასს, მაშინ გამოაცხადა, რომ მას სურდა

წმ. დიდა მოწამე ქეთევანი

ლუარსაბ მეორის უფროსი ქალი, როგელიც თეიმურაზმა მოსტაცა მას. ამ მიზეზისა გამო აბბასი შეუდგა სამზადისს, რომ ომი გამოეცხადებია კახეთის მეფისათვის.

შეიტყეს თუ არა ეს ამბავი კახელებმა, მიეიდნენ თეიმურაზსთან და სთხოვეს, რომ მას შაჰისთან გაეგზავნა შუამაველად თავისი დედა ქეთევანი. ბრძენმა დედოფალმა კარგად იცოდა, რომ აბბასი მიზეზს ეძებდა აეოხრებია კახეთი და ამიტომ მისი გაგზავნა არავითარ სარგებლობას არ მოიტანდა, მაგრამ მაინც დათანხმა თავის შვილის და ხალხის თხოვნას და გაემგზავრა სპარსეთში, და თან წაიყვანა უნცროსი შვილი მეფე ალექსანდრესი. შაჰმ ალერსიანად მიიღო ისინი, მაგრამ ამასთან სთხოვა ქეთევანს, გამოეხმო მას სპარსეთში მეფის თეიმურაზის უფროსი შვილი ლეონი და აღუთქვა, რომ მე აღვზრდი მას ისე, როგორც შვეფერება მომავალს მეფესო.

თეიმურაზმა იცოდა, თუ რა უბედურებაც მოელოდა მას, მაგრამ დიდკაცების თხოვნას ველარ წაუვიდა და ამიტომ გაგზავნა სპარსეთში თავისი მემკვიდრე ლეონი. მაშინ შაჰმ გაიხმო სპარსეთში თეიმურაზიც. ხალხი სთხოვდა მეფეს, წასულიყო აბბასთან, მაგრამ მეფე ვერ ბედავდა, რადგან კარგად ხედავდა მოსალოდნელ უბედურებას.

ამ დროს მეფე აბბასი გამოემგზავრა კახეთისკენ ჯარით და სრულიად აღოხრა ეს ქვეყანა; ვინც კი ცოცხალი გადარჩა, ისინი სპარსეთში გადაასახლა. როცა საომრად გაემზადა კახეთისკენ, შაჰმ ბრძანა დეპატიმრებიათ ქეთევანი და მისი ორი შვილის-შვილი. ხუთი წლის შემდეგ მეფის შვილები ალექსანდრე და ლეონი მოაშორეს ქეთევანს, დაჭკოდეს იგინი და გაგზავნეს ისპაგანში.

ათი წელიწადი წმიდა ქეთევანი საპატიმროში იყო. მან საპატიმროში გაიკეთა პატარა ეკკლესია, და მისი მოძღვარი ყოველ დღე ასრულებდა ამ ეკკლესიაში წირვას. წმ. ქეთევანი ხედავდა, რომ დაბოლოს მას ელოდა წამება და ამიტომ წინდაწინვე ემზადებოდა, რომ ბოლოს გაბედულად აეტანა ყოველგვარი წამება. იგი დიდის ხნობით მარხულობდა, დღე და ღამეს ლოცვაში ატარებდა, ეძინა მიწაზე, თავ-ქვეშ იდებდა ქვას და ამის გამო ძლიერ შეწუხებული იყო. სპარსელები კი ყოველიფერ ღონეს ხმარობდნენ, რომ ქეთევანს მიეღო მაჰმადის აღსარება. მაგრამ ვერც უმაღლესი და უმცროსი მოსელების თხოვნამ, ვერც სიმდიდრის აღთქმამ, ვერც ვერავითარიმე შეწუხებამ და ვერც სპარსეთის დედოფლად გახდომის აღთქმამ ვერ იმოქმედეს ქეთევანზე იმდენად, რომ მას რაიმე ცუდი ეთქვა ქრისტეს სარწმუნოების წინააღმდეგ. როცა ამ გზით სპარსელები ვერას გახდნენ, შაჰმ პირდაპირ ბრძანა გამოეცხადებიათ ქეთევანისათვის, რომ მას უარი ეთქვა ქრისტეს სარწმუნოებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელოდა წამება და სიკვდილი.

წმ. ქეთევანს დაუწყეს წვალება გახურებული რკინით. როცა მეხრმლეებმა დაანთეს ცეცხლი და იწყეს სხვა და სხვა იარაღების მზადება საწვალებლად, ქალაქის უფროსმა, რომლის თანადასწრებით უნდა ეწვალებიათ წმ. ქეთევანი, ვერ აიტანა ეს სანახაობა, ტირილი დაიწყო და მოშორდა იქაურობას. დედოფლის მოსამსახურეთ, როცა ანთებულ ცეცხლთან მიიყვანეს იგინი, თავზარი დაეცათ და მაჰმადიანთა სასიხარულოდ უარჰყვეს ქრისტე. თვითონ დედოფლის მოძღვარი, მღვდელი გიორგი, როცა მოედანზე გამოიყვანეს, ათრთოლდა, არ იცოდა რა ექნა და დედოფლის წინაშე მზად იყო სპარსელებს დაჰყოლოდა ნებაზე. მაშინ დედოფალმა გამამხნევებელი ხმით დაუწყო დარიგება თავის მოძღვარს და ურჩევდა მტკიცედ დაეცვა ქრისტეს სარწმუნოება. დედოფლის გამამხნევებელმა რჩევამ ისე იმოქმედა მღვდელზე და მის მოსამსახურეებზე, რომელთაც უკვე უარ-ჰყვეს ქრისტე, რომ მათ მაშინვე აღიარეს ქრისტე, რისთვისაც ისინი მაშინვე დახოცეს. შემდეგ მწვალებლები მიუბრუნდნენ დედოფალს და სასტიკად დაუწყეს წვალება, რაც კი შეიძლებოდა. ეს წამება უსაშინელესი იყო იმ წამებაზე, რომელსაც აყენებდნენ ხოლმე ქრისტეს აღმსარებელთ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. მწვალებლებმა სხვა და სხვა გახურებული რკინის იარაღებით ისე დაგლიჯეს დედოფლის სხეული, რომ მის ტანზე ვერ ნახავდით უფნებელ ადგილს. შემდეგ შეუბრალებლად მოჭკლეს წმიდა დედოფალი: როცა ქეთევანი ცოტათი კიდევ სულთქმავდა, იმას გახურებული ქვაბი ჩამოაცვეს თავზე.

როგორც კი დასრულდა წმ. ქეთევანის წამება, უფალმა ღმერთმა განადიდა წმიდანის გვამი. ურიცხვი ხალხის თვალ წინ, რომელიც იქვე იყო შეკრებილი მოედანზე, სამი ბრწყინვალე სვეტი ჩამოეშვა ციდან და დაადგა წამებულის გვამს. როცა შაჰის ბრძანებით წმ. ქეთევანის გვამი ქალაქს გარეთ გაიტანეს და სადღაც ერთს უწმინდურს ადგილზე დაგდეს, ეს სამი ბრწყინვალე სვეტი იქაც თავს დაადგა მოწამის გვამს. ღამით ქრისტიანებმა ფარულად წაიღეს მოწამის გვამი და მიწაში დამარხეს. ცოტა ხნის შემდეგ

ტრანგის ბერებმა იპოვნეს წმ. ქეთევანის გვამი და დიდხანს ინახავდენ მის სხეულს. ბოლოს გვამს მოაშორეს თავი და მარჯვენა ხელი და საჩუქრად გაუგზავნეს დედოფლის შვილს თეიმურაზ პირველს, რომელმაც ეს წმინდა ნაწილნი დაასაფლავა წმ. გიორგი ალაევერდის საკრებულო ტაძრის ტრაპეზის ქვეშ; დანარჩენი ნაწილი წმიდანის გვამისა საიდუმლოთ გაგზავნეს რომში და იქ ჩასვენებულ იქმნა წმ. პეტრეს საფლავში, სადაც დღემდისაც ინახება ეს წმიდა ნაწილნი.

წმ. დედოფლის ქეთევანის წამება და სიკვდილი მოხდა 13 სექტემბერს 1624 წელსა.

საეჭვო კითხვების განმარტება.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ განმარტოთ შემდეგი კითხვები:

კითხვა. ნათლისღების დღეს, როდესაც წყლის კურთხევას გაათავებენ და ჯვარს ნაკურთხ წყალში ჩაუბენენ, გამოვა კინმე მსურველი და მასს ამოასვენებინებენ ჯვარს. მღვდელი გამოაბრუნებს ამ კაცს ჯვარს და მას უსხურებს ზიარებულად და მერმე სხვებს; იმ კაცს ეშხან ჯვარის ამოუშვან კაცს, ამისთვის ეს კაცი საჩუქარს აძლევს მღვდელს და შესაწირავს ეკლესიას. გთხოვთ განმიმარტოთ, ამ ჩვეულების აღსრულება კანონით აუცილებელი არის, თუ არა?

მიგება. დიდი ხანია ამისთანა წესი აღარ ძალულია.

კითხვა. წყარო ზედ წყლის კურთხევის გათავების შემდეგ ზოგიერთი მღვდელები და ხალხი დაბრუნდებიან ეკლესიაში, და იქ ათავებენ წირვის უკანასკნელ ნამოლოცვას და ხალხის წყლის სხურებას, ზოგიერთნი წყარო ზედვე ათავებენ ამ ნამოლოცვას და წყლის სხურებას, და წყარო დგან მიდიან თავის სახლში. გთხოვთ განმიმარტოთ, რომელი არის კანონიერი და რომელია უკანონო, თუ ორივე ნაირი მოქმედება კანონიერია?

მიგება. კრებული მდინარიდამ ან წყაროდამ ეკლესიაშივე უნდა დაბრუნდეს შემოსილი და იქ უნდა დაასრულოს მღვდელ-მოქმედება ჩამოლოცვით. ნუ თუ ეს ცხადათ არ არის ნაჩვენები კურთხევანში და ტიბიკონში?

კითხვა. შეუძლია თუ არა მღვდელს თავისი შეიდი მოუდრეკელი შემოსკვის დროს უმიმრქმელოდ მონათლოს?

მიგება. შეუძლია.

კითხვა. ბასკეში გარდაცვალებულ მღვდელს ზედ რომელი წესის აგება უნდა: ბასკეის, თუ სვეტისა?

მიგება. რომელსაც ეჩვენს ტიბიკონში, ის წესი უნდა აღსრულდეს.

კითხვა. მღვდელს შეუძლია თუ არა თავისთვის ანუ თავისი ტოლისთვის ჭსწირეს?

მიგება. რასაკვირველია, შეუძლია. ამაში, ეგონებ, ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს...

კითხვა. ქორწინებაში ბეჭდების შემტვლელ მმადეს და დადეს აქვსთ თუ არა ნათესაობა მეფედედოფლებთან?

მიგება. არ ჩაითვლებიან ნათესავებად.

კითხვა. შეიძლება თუ არა, რომ მღვდელი მიმრქმელადაც იქმნეს და კიდეც მოანათლოს ბავშვი და სასაუბებში აზვენოს თავი თვისი მიმრქმელად და ნათლისღების საიდუმლოს აღმასრულებელად?

მიგება. თუ იმ სოფელში, ან მთელს მაზრაში მღვდელსა და მოსანათლავ ბავშვს გარდა აღარავინ იქნება მცხოვრები, რასაკვირველია, შეუძლია.

კალენდარული ცნობები

იანვრის ١٣.

١٦ კვირიაკე. საცისკრო სახარება მარკოზისა, თავი ١٣. მუხ. ٤. ხმა ٤.

იანვრის ١٤.

١٦ კვირიაკე, საცისკრო სახარება მარკოზისა, თავი ١٣. მუხლი ١٥—١٦. ხმა ٣.

იანვრის ١٦.

კვირიაკე **١٦**. საცისკრო სახარება ლუკასი, თავი ١٨, მუხლი ١٣. ხმა ٨.

თებერვლის ٤.

მ ი ბ ქ მ ა უ ფ ლ ი ს ა.

სახარება, ტროპარი და კონდაკი ღვისა.

თებერვლის ٣.

١٦ კვირიაკე. მეზვერე და ფარისეველისა. ხმა ٤. საცისკრო სახარება ლუკასი, თავი ١٨. მუხლი ١٣—١٤.

რედაქციის პასუხი.

მმ. ფ. დატიაშვ. და პ. ბახტაძეს. «მწყემსი»-ს პრემია თქვენ გამოგიგზავნეთ ფოსტით. მოიკითხეთ ფოსტაში.

მ. ბლ. ი. ჩხე—ლს. ერთსა და იმავე საგანზე ამდენი კითხვა შეიძლება? სამ მანეთად გაზეთი დაგითმეთ სიღარიბისა გამო და პრემიაც გამოგიგზავნოთ? ეს სწორეთ იმას ემგვანება, ერთი მღვდელი რომ დადიოდა და ხალხს ეუბნებოდა: „ვინც მაწირვინებს, სახნისს ვაჩუქებ!“...

მიიღება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა:

12 თვით «მ წ ყ ე მ ს ი»	5 მ.	6 თვით «მ წ ყ ე მ ს ი»	3 მ.
— ,, ორივე გამოცემა	6 »	— ,, ორივე გამოცემა	4 »
— ,, რუსული ,,	3 მ.	— ,, რუსული ,,	2 მ

სოფლის მასწავლებელთ «მ წ ყ ე მ ს ი» დაეთმობათ მთელის წლით **სამ მ ა ნ ე თ ა დ.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც**.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

1894 წლის «მწყემსი»-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ

მოზრდილი მხატვრობა

თამარ მეფისა.

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც **შ ო თ ა რ უ ს თ ვ ე ლ ი** მიართმევს **თ ა მ ა რ ს** თავის უკვდავ პოემას «ვეფხის ტყაოსანს». ამ მხატვრობაზე იქნება დახატული თვით **შოთა რუსთველი** და **თამარის მხლებლებიც** იმ დროის ტანთ-საცმელში.

შინაარსი: საახალწლო ნატვრა.—საახალწლოდ.—ახალ წლის გამო (ლექსი).—ჩვენი ძველი მოღვაწე-პირები.—პედაგოგიის ისტორიიდგან.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—წმ. დიდი მოწამე ქეთევანი.—საეჭვო კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.—განცხადება..

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 14 Января 1894 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.